

ლელო


საბავთველოს სსრ საორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების პაპირისა და პროფკავშირთა საბავთველოს რესპუბლიკური საბავთს ორგანო
Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი.

№ 162 (2525)



სამშაბათი, 18 აპრილი, 1964 წ.

ფასი 8 კაპ.



აეროსტეული ბიკლირთვა

ბავთს ორგანიზაციის საპროფკავშირეზო



ოლიმპიური შერჩევა ბრკელდება

ცნობილი გამოთქმა რომ დღევანდელი ოლიმპიის შესაბამისად გალაკეთით, თამაშად შეიძლება ითქვას: ყველა გზას ტოკიოს მიყავართ! მართლაც, თითქმის ყოველი სპორტული ასპარეზობა ჩვენს მსოფლიოზე ოლიმპიური საზომით იზომება. ამიტომაც, რომ შევიბრე-

ბები უარესი სიმწვავეა და დამბულობით ხასიათდება, სპორტული მაჩვენებლების მრუდი სულ ზევით და ზევით მიიწვევს. ამ შეუპოვარ ბრძოლაში როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, თავი გამოიჩინა ბევრმა აქამდე უცნობმა ახალგაზრდა სპორტსმენმა... ახალგაზრდობის შეტევით აღინიშნა, მაგალითად, სსრ კავშირის პირადგუნდური პირველობა ტყვიითა და სასტენდო სროლაში. ხუთი ოლიმპიური ვარჯიშისა და სამი ჩემპიონები გახდნენ ახალგაზრდა მსროლელები — ხარკოველი ი. გერასიმენკო, კრასნოდარელი ტ. მკევეცი, რიგელი ა. გერასიმენკო.

მზარდი ახალგაზრდა ველოსიპედისტის, რიგელი სტუდენტ ა. ვიარაგასის წარმატებით აღინიშნა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატი საგზატრეცილო რბოლაში, რომელიც მოსკოვსა და ვიარაგასის შორის 186 კმ მან დაფარა 4:40.17.7. გამარჯვებულს 0,1 წამით ჩამორჩა სახელგანთქმული გ. საიდუხინი (ჩელიაბინსკი). ბრინჯაოს მედალი დაიხსოვრა ა. კულიბინმა (გორკი). ქალთა 62-კილომეტრიან ტრასაზე ყველას აჯობა არმიელმა გ. იუდინამ. ოლიმპიადის წინა შერჩევით ასპარეზობის ნიშნით მიმდინარეობს ტალანის რეიდზე ჩვენი ქვეყნის პირველობა საიაქრო სპორტში.

საპროფკავშირეზო კროსი

სსრ კავშირის პროფკავშირთა ცენტრალური საბავთს, საკავშირეო ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა და სპორტკავშირის ცენტრალური საბავთს პრეზიდიუმმა მიიღეს დადგენილება პროფკავშირულ-კომპაგნიური საშემოდგომო კროსის ჩატარებაზე. იგი ყოველწლიურად გაიზარდება სექტემბერ-ოქტომბერში. დადგენილებაში ნათქვამია, რომ პროფკავშირული, კომპაგნიური და სპორტული ორგანიზაციები ვალდებული არიან დროულად უზრუნველყონ კროსისათვის საშაღისი, ჩატარონ მასობრივი შეჯიბრებები საწარმოთა, მშენებლობათა, კოლმურნეობებისა და საბჭოთა მუშურნეობების, დაწესებულებათა, უმაღლეს სასწავლებელთა და საშუალო სკოლების ფიზკულტურულ კოლექტივებში.

ეს შეჯიბრებები სპორტულ დღე-სასწავლებელს უნდა მოგვევლინოს. მათ ხელს უწყობს ფიზკულტურული კოლექტივების განმტკიცება, ფართო ფიზკულტურული კადრების მომზადება, ახალგაზრდობის ახალი ფენების ჩაბმის სისტემატურ ფიზკულტურულ მეცადინეობაში.

1964 წლის საკავშირეო კროსის ფინალი გაიმართება 18 ოქტომბერს მოსკოვში.

სურსათი

◆ კიზინოში, 17 აგვისტო. სსრ კავშირის საქარაკო ჩემპიონატის ნახევარფინალის VIII ტურში კიკიანმა ყაიბით დაამთავრა შეხვედრა ბაგიროვთან, ბოკუჩავა და მარცხდა ნივიდინისთან. IX ტურში კიკიანმა გაიმარჯვა როიშანთან. საყაიმო პოზიციაში გადაიდა ბოკუჩავა — ბაგიროვის პარტია. IX ტურის შემდეგ ლუტიკოვს 7,5 ქულა აქვს, კიკიანს — 6,5, კლოვანს — 5,5.

◆ რიბა, 17 აგვისტო. აქ დამთავრდა სსრ კავშირის პირადგუნდური პირველობა ჭაბუკ მოჭადრაკეთა შორის. ჩემპიონის სახელი დაიასკუთრეს რსფსრ-ს მოჭადრაკეებმა ცემკოვსკიმ და მიშუჩკოვმა.

◆ კიროვოგრადი, 17 აგვისტო. სსრ კავშირის მოტოციკლისტთა პირველობაზე ქალთა შორის თავი ისახელა ვ. ლუკინამ (დონის რესტოვი), რომელმაც მოტოკროსში ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. ვაჟთა შორის

125 კმ სმ მოტოციკლებით ასპარეზობაში ფინიშზე პირველი მივიდა ლ. ჩერნი.

◆ რიბა, 17 აგვისტო. აქ მიმდინარე საკავშირეო პირველობაზე ჭაბუკ მძღოლსანთა შორის მოსკოველმა ს. დიომინმა ჭოკით 472 სმ სიმაღლე დაძლია, რაც საკავშირეო რეკორდს 3 სმ-ით ჩამორჩება. ლატვიის ახალი რეკორდით მოიგო 200 მ თარჯინები ე. ზაგერისმა (23,3).

◆ გფრ. ვეროპის ორი რეკორდი დაამყარა ზურგზე ცურვაში გფრ-ის პირველობაზე ვ. კიუპერსმა. 200 მ მან გაცურა 2.14,8, რაც მისსავე რეკორდზე 0,2 წამით უმჯობესია. მორე რეკორდი კიუპერსმა დაამყარა 100 მ ცურვაში, როცა კომბინირებულ ამანათ-ცურვაში 4x100 მ მონაქვეით 1.0,1-ში დაფარა (რაც საბჭოთა სპორტსმენ ვ. მასანოვის რეკორდზე 0,5 წამით უკეთესია).

ჩვენის ურთობი

ღღეს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხი ზეიმით აღინიშნავს სსრ კავშირის საპაერო ფლოტის დღეს. სოციალისტური სახელმწიფოს პირში — საბჭოთა ავიაცია ერთგულად ემსახურებოდა და ემსახურება დიდი საბჭოეთის ხელშეუხებლობას, იყო და არის მისი წმიდა საპაერო საზღვრების ფხიშელი დარაჯი.

დიდი და სახელოვანი გზა განვლო ჩვენმა ავიაციამ. ჯერ კიდევ თავისი არსებობის გარიჟრაჟზე იგი დიდ სამსახურს უწევდა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს სამოქალაქო ომის წლებში. ჩვენი ინდუსტრიის მძლავრი განვითარების პერიოდში, კომუნისტური პარტიისა და მთავრობის დაუღალავი ზრუნვის შედეგად საბჭოთა ავიაცია დღითიდღე სულ უფრო ვითარდებოდა, მეცნიერებისა და ტექნიკის სახსრებით მდიდრდებოდა...

ჩვენი საპაერო ფლოტის დიდი გამოცდის ფაში იყო საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი გერმანულ დამპყრობთა წინააღმდეგ. საბჭოთა შეიარაღებული ძალებს სხვა გვარეობის ჯარებთან ერთად გამირულად იბრძოდნენ საბჭოთა მფრისავები, რომლებმაც არა ერთი სასხელო ფურცელი ჩაწერეს სამამულო ომის გამირულ მატანეში.

თბილისის „ლოკომოტივის“ გამარჯვება


გაუზინ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში შედგა ფეხბურთში საკავშირეო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები „კლასის მეორე ჯგუფის II ქვეჯგუფში. თბილისის „ლოკომოტივი“ ზაპროუიეში შეხვედა ადგილობრივ „მეტალურგს“ და გაიმარჯვა—1:0.

საბჭოთა მეცნიერების, კონსტრუქტორების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მუშების დაუღალავი შრომის შედეგად, საბჭოეთის ქვეყანამ პირველი სიტყვა თქვა კოსმოსური სივრცეების დაპყრობაში. ი. ვაგარინის, გ. ტიტოვის, პ. პოპოვიჩის, ა. ნიკოლაევის, ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვას, ვ. ბიკოვსკის სახელები ოქროს ასოებითაა აღმუქვლილი მსოფლიო საპაერო ფლოტის ისტორიაში.

დიდი წარმატებები აქვს საბჭოთა სახელმწიფოს სასპორტო ავიაციის დარგში. საბჭოთა მფრისავებს ეკუთვნის სისწრაფის, სიმბოლისა და სხვა მრავალი მსოფლიო რეკორდი. ჩვენს პლანეტაზე უძლიერესის სახელი აქვთ მოპოვებული საბჭოთა პარაშუტისტებს, რომელთა სწორუპოვარ ოსტატობას ბევრჯერ მოუხიბლავს მრავალი ქვეყნის საპარაშუტო სპორტის მოყვარული.

საბჭოთა ავიაციის დიდი ზეიმის დღეს რესპუბლიკის ფიზკულტურელები და სპორტსმენები მზურვალედ მიესალმებიან ჩვენს სახელოვან მფრისავებს, ახალი საპაერო ხომალდების შემქმნელ კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მუშებს.

წინ, ახალი საპაერო ლაქვარდების დასაპყრობად!



დაბრკობებითა ვადალახვაში „სოფლის ცხენოსანთა თასზე“ გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს ლიტვის მხედრებმა.
სურათზე: გამარჯვებული გუნდი (მარცხნიდან) — კ. პოციუსი, მურტენელი ვ. გენტვიანი, ა. ვაიტკევიჩუსი, პ. პრაუსკასი.
ფოტო ფ. კრიმსკისა.

ფინიშის მისაღობობთან

ფინსკი, 17 აგვისტო (დებუთი ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის წლებადელი საქარაკო ჩემპიონატის ნახევარფინალის X ტურში პარტიების უმრავლესობა დაუმთავრებელი დარჩა, მათ შორის გურგენიძე-კრუტინისა და ეტრუკ-გაფრინაშვილისა. შეწყვეტილ პოზიციებში გურგენიძეს პაიკი აქვდა, მაგრამ უკეთესი შედეგები მხოლოდ ყაიშის შანსები. მუხინმა-მოუგო ზახარაიანს, ბიზრაგერმა — ვალიევს და მიკენას — ნოსკოვს.

გადაღებული პარტიების დამთავრებისას გაფრინაშვილმა ვერ გამოიყენა ყაიშის შანსები და დამარცხდა ეტრუკთან. არასწორად წარმართა თამაში გურგენიძემ კრუტინთან. მან რამდენიმე შეცდომა დაუშვა და პარტია წაავო. კიდევ ერთი გამარჯვება კრუტინისმა ზილბერთან შეხვედრაში მოიპოვა. ორ-ორ პარტიას ამთავრებდნენ მიკენასი და სავინი. თვითველმა მხოლოდ 0,5-0,5 ქულა დააგროვა, სავინმა ყაიშით დამთავრა პარტია ვორგემასთან, ხოლო ზოიარინოვ-

თან დამარცხდა. მიკენასი ყაიშზე შეუთანხმდა ნოსკოვს და წაავო ნოლოსთან. ყაიშით დამთავრდა შავალოვი — სუეტინის და პეტერსონ — ვორგემას პარტია. X ტურის შემდეგ სუეტინს 8 ქულა აქვს, პეტერსონსა და მუხინს — 6,5 ქულა თვითველს. გურგენიძეს 5 ქულა აქვს გაფრინაშვილს კი — 3,5. 18 აგვისტოს შედგება XI ტური. **გ. შიშოვი, სპორტის ოსტატი.**

ღვაწლმოსილი ოსტატი

წავიძინებთ ე. ლასკერის, ს. კაპალანკას და მ. ეივის საქარაკო სახელმძღვანელოები? გაცნობიხართ ი. ავერბახის პატარა წიგნს საქარაკო ეტიუდზე? კარგი წიგნებია. ისინი ჩვენს მშობლიურ ენაზე ოსტატმა არჩილ ებრალიძემ თარგმნა.

თუ გადაგიხედავთ უკანასკნელი 30 წლის მანძილზე საქართველოში გამართული დიდი ტურნირების ცხრილებს, თქვენს დასაწყისში დაინტერესდებით საქართველოს ჩემპიონების ვინაობით? ამ ცხრილებში და ჩემპიონთა სიაში ძალიან ხშირად წააწყდებით ოსტატ არჩილ ებრალიძის გვანს.

მეცადინეობანი, და მეგობრული საუბრები. ჩვენმა დამრიგებელმა სასახლეში გადმოვიდა თავისი მდიდარი საკადრები მიმლითოთა და ხშირად სხვადასხვა პოზიციას საათობით ჩაირკობტებდა. ებრალიძე არ ვიწვლიდა დავსწრებოდი მის მუშაობას, გვეუბნებოდა — შეიხუთ, რაც გაინტერესებთო.

არჩილ ებრალიძე პოზიციური სტილის მოხსრე იყო. მას სწამდა ძირითადი სტრატეგიული კანონების ურყეობა და შეფუძნული საათობით ეძებდა იერიშის ან კომპინაციის უარყოფა, თუ კი, მისი აზრით, პოზიციას არ იძლეოდა „ნაძალადევი“ გადაჭრას.

ახლა არაფერს იკითხავთ მის მოწვევებზე? ეს გრძელი სიაა, რომელიც ამჟამინდელი მსოფლიო ჩემპიონ ტიგრან პეტროსიანით იწყება. 1941-1944 წლებში არჩილი თბილისის პიონერთა სასახლის საქარაკო კაბინეტში ჭადრაკის საიდუმლოებას ასწავლიდა პატარებს, რომელთა შორის იყვნენ ტ. პეტროსიანი, ა. ბუსლაევი, გ. ბრავინსკი და სხვ. შემდგომ წლებში ა. ებრალიძე საქარაკო განყოფილებებს ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის ყურნალ-გაზეთებში.

თუ კი კომპინაციის წინამძღვრები არსებობდა და მოჭადრაკე მინც აყოვნებდა მის გახორციელებას (რის გამოც უპირატესობა სულიდან ეცლებოდა), მაშინ არჩილი დარწმუნებული იყო, რომ ფარულად უცილობდა უნდა არსებული რაღაც ტაქტიკური გადაწყვეტა. სხვა ოსტატებთან ვაცხოველებულ კამათში იგი თავგამოდებით თავს ესხმოდა ამა თუ იმ მეტოქის პოზიციას, ვინც კი ჭადრაკის სტრატეგიის ძირითად პრინციპებს დაარღვევდა, მის სახეზე მრისხანე გამომეტყველებაც კი აისახებოდა, თუ რაიმეს „ანტიპოზიციურს“ შეამჩნევდა.

არჩილ ებრალიძეს ყოველი ქართული მოჭადრაკისთვის გაუზიარებია თავისი მდიდარი გამოცდილება და ცოდნა, რჩევა მოუცია და გაუმხნეებია მალალი თანრიგის მოჭადრაკეებიც. მის წინაშე თითქმის ყველა დავალებული ვართ.

ღვაწლმოსილი ოსტატის საინტერესო საქარაკო ცხოვრება და კეთილი ნამოღვაწეობა ცალკე მონოგრაფიას იმსახურებს და იგი ალბათ დაიწერება კიდევ. დღეს კი ფართო მკითხველს გვსურს გავაცნოთ ტ. პეტროსიანის მოგონება, რომელიც ამაგდარი ქართველი ოსტატი დახატულია როგორც ადამიანი, მოჭადრაკე და პედაგოგი.

ამის ისიც მინდა დაემატო, რომ ებრალიძე დიდი თავგანისმცემელი იყო ნიშნოების, კაპალანკას და ... კარო-კანის დაცვისა“.

მსოფლიო ჩემპიონის ნამბობს ჩვენ გვსურს დავუმატოთ ისიც, რომ პეტროსიანის თამაშს დღესაც ატყევა ღრმად ერუდირებული ქართველი ოსტატის ხელი, პეტროსიანიც ნიშნოების, კაპალანკას და... კარო-კანის დიდი თავგანისმცემელია.

„დიდი კმაყოფილებით ვიგონებ თბილისის პიონერთა სასახლეს. 1941 წლის დამლგვიდან ჩვენს საქარაკო წრეს ხელმძღვანელობდა ოსტატი არჩილ ებრალიძე, მეტად გულისხმიერი, თანამგრძობი და კეთილი გულის ადამიანი. არჩილ სილოვანეს ძე საქარაკო კულტურის დიდი ოსტატი იყო, მას თავდავიწყებით უყვარდა ჭადრაკი, თვითონ ბევრს მუშაობდა და ჩვენც ვაქტებდა ჩვეწვდომილი ჭადრაკის საიდუმლოებას.

განსაკუთრებით სასარგებლო იყო ჩვენთვის მისი „არაოფიციალური“


უკვე ოთხი წელია არჩილ ებრალიძე არ არის ჩვენს შორის. მაგრამ მისი ამაგი ქართული ჭადრაკის წინაშე არასოდეს დაიფერფლება. შთამომავლობა მას მუდამ დიდის პატივისცემით მოიგონებს.

თ. შიშოვი

სურათზე: არჩილ ებრალიძე (მარცხნივ) თბილისის 1947 წლის პირველობაზე ეთამაშება ახალგაზრდა გ. გაჩეჩილაძეს — ამაჟამად საქართველოს მთავარ მწვრთნელს ჭადრაკში, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს.



თბილისის „განთიადის“ აუზზე ბევრია ცურვის მასობრივად სწავლები და საერთო ფიზიკური მომზადების ჭაფუბებში მეცადინეობის მსურველი. სურათზე: საზოგადოებრივი მწვრთნელი ფ. მამინა მეცადინეობას ატარებს ქალთა ჭაფუფთან.



წლავანდელი აგვისტო ტოკიოში სარეკორდოდ ცხელია. ეს ძალიან დიეტო მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებას. წყლის მარაგი დიდი დიდე მცირდება. ქალაქის მუნიციპალიტეტმა სასწრაფო ზომები დასახა. გადაწყდა ორი გემბერთელა ჭის ამოთხრა და წყლის მარაგის შექმნა. ეს სამუშაოები სულ 20 მილიონი იენი ჯდება.

ამინდის ბიუროს საბოლოო პროგნოზით 10-24 ოქტომბრის პერიოდში ტოკიოში იქნება მშრალი და უდრუბლო დღეები. პაერის ტემპერატურა საგრძობლად დაიწვეს და „ოლიმპიური ნორმაზე“ — 17 გრადუსზე დადგება.

ბაონის მიუღობიტებს შეუფოთება ეტყობათ. მათ ძალზე აწუხებთ სამი უცხოელის — გეზინკას (პოლანდია), სტეპანოვის (სსრკ) და კორეელი კიმის სახელები. „დავამარცხოთ ისინი!“. — ასეთია დღეს ბაონისის მიუღობიტთა მთავარი ლოზუნგი.

ბაონისის სპორტის „ვარსკვლავებმა“ უკვე კარგა ხანია დატოვეს ტოკიო. ტანმოვარჯიშეები და მოფარიავეები ვარჯიშობენ ნაგანოს მთებში, ძალისნები — ფეშენებელურ კურორტ ხაკონეში.

სპორტის ანგარიში

● იანაპიტა გამართულ შეჯიბრებაზე მსოფლიოს ექსპრეკორდსმენმა, ამერიკელმა რ. ბოსტონმა გაიმეორა საბჭოთა მძლეოსან ი. ტერ-ოვანესიანის მსოფლიო რეკორდი სიგრძეზე ხტომაში — 881 სმ.

● კიევი ჩავიდნენ სსრ კავშირის უძლიერესი მძლეოსნები, რომლებიც საწვრთნელ ასპარეზობას გამართავენ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის წინ (გამართება კიევიში 27-30 აგვისტოს). გასულ კვირას მძლეოსნებმა რამდენიმე მაღალი შედეგი აჩვენეს: ვაუები — სიმალეზე ხტომა — ვ. ბრუმილი 215 სმ, ქოკიტი ხტომა — გ. ბლიზნეცოვი 470 სმ, შუბის ტყორცა — ი. ლუსინი 80,17 მ, ურის ტყორცა — ი. ნიკულინი 68,37 მ; ქალები — სიგრძეზე ხტომა — ა. ჩუიკო 621 სმ, სიმალეზე ხტომა — ტ. ჩენჩიო 173 სმ, ბადროს ტყორცა — თ. პრესი 57,84 მ.

● მოსკოვი, 17 აგვისტო. აქ დამთავრა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. ქალთა ფინალი ერთეულბს შორის საბჭოთა სპორტსმენებმა — ა. დმიტრიევამ (მოსკოვი) და ვ. ტიტოვამ (კიევი) გაითამაშეს. გამარჯვება წილად ხვდა მოსკოველს — 6:2, 6:2. ვაჟთა ფინალში იუგოსლაველმა ნ. პილიჩმა დაამარცხა თავისი თანამემამულე ბ. იოვანოვიჩი — 5:7, 5:7, 6:2, 6:4, 6:0. ქალთა წყვილებში პირველობა წილად ხვდა ჩეხოსლოვაკელებს — ო. ლენდლოვასა და ი. შონსკას, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს საბჭოთა „დუეტით“ — დმიტრიევა და ტიტოვა — 3:6, 6:3, 7:5. შერეულ წყვილთა ფინალში მხოლოდ საბჭოთა სპორტსმენები გავიდნენ: აქ ვ. ტროშინამ და ა. მეტრეველმა ძლიეს ტ. კივისა და თ. ლეიუსს — 5:7, 6:1, 6:4. ვაჟთა წყვილებში პილიჩთან და იოვანოვიჩთან ფინალური შეხვედრა მოიგეს თ. ლეიუსმა და ს. ლიხაჩოვმა — 12:10, 6:4, 6:3.

რძსა მრ თვეზე ნაკლები დრო დარჩა...

ოლიმპიური თამაშების ბილეთებზე ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ იყო დიდი მოთხოვნილება მრავალ ქვეყანაში. იაპონიის დედაქალაქში თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის სახელზე მოდიოდა ბევრი განაცხადი.

როცა თამაშების დაწყებამდე 2 თვეზე ნაკლები დრო დარჩა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი თქვეს 16 ათასი ბილეთის გასაღებაზე, ავსტრიაში გაიყდა მხოლოდ 55 (1.325-დან).

ყველაზე ცუდი მდგომარეობა მომავალი, 1968 წლის ოლიმპიური თამაშების სამშობლო მექსიკაში. აქ ტოკიოდან გაგზავნილი 1.070 ბილეთიდან ჯერჯერობით არც ერთი არა რეალიზებული (!).



2. ღაიგასსოვრეთ ეს მისაგართი: „პალომიუს ბუღვარი, 16“

გვყავს და რატომ მიაქვს თქვენი რესპუბლიკის „სოიუზბეჩას“ საცლო რეაღიზაციისთვის ყურნალის ძალზე ცოტა ვგზემპლარი? ჩვენი ყურნალი დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო სსრ კავშირში, არამედ უცხოეთშიც. ვიყირობ, იგი თქვენს ჭადრაკის მოყვარულბსაც მოუტანდა სარგებლობას.

სწორი შენიშვნა. და ამასთან დაკავშირებით მინდა გავახსენო ჩვენი რესპუბლიკის ჭადრაკის მოყვარულთ, რომ ყურნალი „შახისი“ (რუსულ ენაზე) ყურნალ-გაზეთების კატალოგში აღნიშნულია 77266 ინდექსით. სხვათა შორის, შეგიძლიათ იყოთ არა მარტო ყურნალის ხელისმომწერი, არამედ აქტიური მონაწილეობაც მიიღოთ მის მიერ გამარ-

თულ კონკურსებში, ვაგზავნოთ შეკითხვები ჭადრაკის თეორიის საკითხებზე, ამიტომ დამიხსოვრეთ ეს მისაგართი: რიგა, პალომიუს ბუღვარი, 16. ყურნალ „შახისი“ რედაქცია.

რა არის საინტერესო ამ ყურნალში? მიზიდავლად დაწერილი დიდი საერთაშორისო და საქავშირო შეჯიბრებების, ლატვიასა და სხვა რესპუბლიკებში გამართული ტურნირების ანგარიშები, დიდოსტატებისა და ოსტატების მიერ ღრმად კომენტირებული პარტიები და დამოლოებანი. ახალბედა და დაბალი თანრიგის მოჭადრაკეთათვის არის „სასწავლო განყოფილება“, რომელსაც ოსტატი ი. ჟდანოვი ხელმძღვანელობს.


რედაქციის მეგობრული კოლეგები, რომელშიც 9 თანამშრომელია, რედაქტორის — მ. ტალის ხელმძღვანელობით რაც შეიძლება ცდილობს შინაარსიანი ყურნალის გაკეთებას. ყოველი ნომერის დაგეგმვისას ირჩევა ყველაზე საინტერესო მასალები. წერილები კორექციაში ბლომად შემოდის. ყურნალის მუდმივი კორესპონდენტები არიან არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მოჭადრაკეები, არამედ ცნობილი უცხოელი დიდოსტატები — მ. ეივე (პოლანდია), ლ. საბო (უნგრეთი) და სხვ.

ყურნალის ლიტერატურულ თანამშრომელთა — ცნობილი მოჭადრაკეების ო. კრუმინის, ა. დობროვისკისა და პ. დემბოს ხელში ყოველდღურად ბევრი წერილი გა-

რის. ისინი თარგმნიან რუსულიდან ლატვიურზე და პირიქით. თვითონ კობლენცი განაგებს პარტიების განყოფილებას. ცნობილი რიგელი ოსტატი ა. ვაგსლისი ხელმძღვანელობს თეორიის განყოფილებას.

ყურნალმა დიდი სარგებლობა მოუტანა ლატვიელ მოჭადრაკეებს, — ამბობს კობლენცი, — ყურნალში თანამშრომლობით მათ საგრძობლად აიმაღლეს თამაშის კლასი; ასეთი ყურნალი გპირდებით თქვენც. ჩემის აზრით, რესპუბლიკას, სადაც ნონა გაფრინაშვილი ცხოვრობს, უნდა ჰქონდეს საკუთარი საქარაკო ყურნალი.

პ. ბუსლაევი, სპორტის ოსტატი.



ჩემი მოსახლეობა, თანხის გათავაზება



გაუნაღდეგელი პოტენცია

საც მოგვიწოდებს მოსკოვში დარჩენამ. მას აქეთ-იქიდან მტკიცება დაუწყეს: მოსკოველები უმკველად ჩაეტყვიან 90 წუთში, რადგან, ჯერ ერთი, — შინ თამაშობენ, და მეორეც, — ამჟამად აღმავლობის გზაზე არიან.

ეს პროვოკაცია გამართლდა, თუმცა „ნორმალური“ ორი ტაიმი ჩემპიონს არ ეყო. ჩემი ასრით, მოსკოველთა გამარჯვების ფეხები იმაში კი არ იყო, რომ ისინი საკუთარ სტადიონზე თამაშობდნენ, არამედ... მათი უდიდესი მდგომარეობით ჩემპიონატის ცხრილში; შერყეული პრესტიჟის გამაგრებას გუნდმა სათანადო მატჩები „მოუძღვა“.

ამ შეხვედრისთვის მოსკოვის „დინამო“ განსაკუთრებით გულდაგულ მოემზადა. ამაზე მაგალითი მტკიცებებს ასეთი ფაქტები: პირველი 20 წუთის განმავლობაში მოსკოველთა მარცხენა მცველმა გლოტოვმა თავისი ადგილი დატოვა და მიუღწეველად ჩრდილოეთი დასდევდა აფშევს. უნდა ვივარაუდოთ, რომ მოსკოველის დიდი ფინიკურმა კონდიციამ მწვერულს გადაწყვეტილი ამავე ტაქტიკური ნაბიჯის გადაღმა. ამ დროს გლოტოვის ადგილი ეკავა მუდრიკი, რომელიც დატუნაშვილს „მეურვებდა“. 20 წუთის შემდეგ ამ ორმა მოსკოველმა ადგილები შეიცვალა.

თბილისელთა „ნახაზიც“ ჩვეულებრივად როდი გამოიყურებოდა: მეტრეველმა სავებით გარკვეული დავალებით ასპარეზობის დიდი ნაწილი მარცხენა ფლანგზე ითამაშა. მას დავალე-ბული კქონდა დაეჩაგრა გამოცდილი, მაგრამ არც თუ ისე მოძრაი კესარევი. ფორვარდმა დავალება შეასრულა.

შესვენებამდე მასპინძლებმა უმეტესი დრო მეტოქეთა ნახევარზე გაატარეს. ბოლო 10 წუთში მათ 6 კუთხური ჩაშთაფილდეს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ 10 წუთში ანტიულისი იმულებული იყო ორჯერ გამოცვალა ბურთი, რომელიც ვერ უძლებდა აგრესივ უმოწყალო დარტყმებსა და მწვავე შეტაკებებს.

ჩემპიონის მოქმედებაში თვალსაჩინოდ იგრძნობოდა გამარჯვების დიდი ფინი, მაგრამ მის შეტევაში ასეთივე თვალსაჩინოდ დიდი იყო უწყისობა. ტაიმის შევალში თბილისელებმა თამაში გააწვინაწვინეს და რამდენჯერმე სახიფათოდაც შეუტეს მეტოქეს.

მაგრამ სწორედ მათი კონტრიერის დროს მოსკოველმა მცველმა აგრესივით ძლიერი დარტყმით ბურთი მეტოქის საჯარო მოედანში გაგზავნა. კონტრიკაძე შეცდა და ფაღველა ბურთი კარის დაბალ კუთხეში მიათავსა.

შესვენებისას ვიქტორ პონდელნიკმა (როსტოველები „ტორპედოსთან“ სათამაშოდ ჩამოვიდნენ) გასახდელი თქვა: ორივე გუნდი ისე თამაშობს, თითქმის არც ერთ მათგანს არ აინტერესებს მატჩის შედეგი.

არ დავამალავ: მეც ანალოგიური შთაბეჭდილება შემექმნა.

მეორე ტაიმი იგი ერთიანად გააქარწყალა. უკვე 49-ე წუთზე მეტრეველმა მოხსლტებით დაარტყა კუთხეში და იაშინმა მხოლოდ თითქმის შეახო ბურთს. იგივე შეტანვას მოხვდა, მაგრამ კარში არ გავიდა, — მეორე ხანს ისტანავა მეკარის მოედანზე.

აფშევის მაგივრად მინდორზე გამოსლტა მესხმა, რომელსაც დაეჭვებულ ტაიმი შეეფადა, საკმაოდ დიდი დრო თავისი გუნდის ნახევარზე გაატარა. საქმე იმაში იყო, რომ სტუმრები იშვიათად გადადიოდნენ შეტევაზე. და, მიუხედავად ამისა, თბილისელთა უპირატესობა სულ უფრო შესამჩნევი ხდებოდა. დაასლოებით 20 წუთის შემდეგ მესხმა თქვა თავისი პირველი სიტყვა — ელვის სისწრაფით, ფინტებით გაუსლტა კესარევისა და ანიჩინს.

მაგრამ მის ჩაწოდებას კარის გასწვრივ არაფერი გამოეხატა.

მეტრეველმა ცენტრში გადაინაცვლა და მესხთან მისი ურთიერთმომქმედება თბილისელთათვის ძალზე იმედინად, ხოლო მოსკოველთათვის უარესად მრისხანედ გამოიყურებოდა.

82-ე წუთზე თბილისელებმა მოსკოველთა კართან „წამოიწყეს“ კუთხურები სერია. მესამე კუთხურისას მესხმა უკან მიიღო ბურთი, იგი დათუნაშვილს გაუფორა და ამ უკანასკნელმა ვარდნაში ბურთს უსუსტი მისამართი მოუქმნა — 1:1.

ამ ყველას შემქმნა შთაბეჭდილება, რომ ფეხბურთის სასწორი სტუმრების მხარეს გადაიხარა. მოსკოველები აშკარად დაიბნენ, მათი მცველები ვერა უმკველდნენ თბილისელთა ფორვარდებს. ძირითადი დროის დამთავრებას 2 წუთი აკლდა, როცა მესხის დარტყმა მოიგერია იაშინმა. ბურთი ჩაიგდო მეტრეველმა, მეორე — ბარქაიამ, მაგრამ კარის აღება ვერ მოხერხდა.

დამატებითი 30 წუთის დასაწყისი


აღინიშნა მესხის დარტყმით... შეტანაში. მიუხედავად „ქვეყნის“ დიდი დაწოლისა, ანგარიში უკველად რჩებოდა. და 1:1. თითქმის „ქვეყნის“ სტუმრებს გაუჭირდათ თამაში მაშინ, როცა მოსკოველები დაუღლებლები ჩანდნენ. მართლაც, 21-ე წუთზე მორიგი კუთხური სახმრეთელთა კართან გოლით დაგვირგვინდა: ანიჩინმა თავით გაიტანა ბურთი მას შემდეგ, რაც კონტრიკაძემ უაზროდ დატოვა კარი.

ისევე, როგორც სპარტაკელებთან შეხვედრაში, თბილისელთა ფორვარდებმა დიდი პოტენციური შესაძლებლობანი გამოამჟღავნეს, რისი თქმაც არ შეიძლება მათს დაეცავე (განსაკუთრებით ცენტრალურ ზონაში).

ა. რადვანი

კარგა ხნის ავადმყოფობის შემდეგ მინდორს დაუბრუნდა თბილისის „დინამოს“ მარცხენა გარემარბი მ. მესხი. მისი დებიუტი თანხის მატჩში მოსკოვის „დინამოსთან“ საუკეთესო გამოდგა.

ს ურათ წე: მ. მესხი შეიტკრა მოსკოველთა საჯარო მოედანში. ფოტო მ. ზარგარიანისა. (ჩვენი სპეც. კორ.).



დაბეიანებული იერიშები

მოსკოვი, 17 აგვისტო (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ ადგილობრივი „სპარტაკი“ ეთამაშა ქუთაისის ტორპედოელებს. სსრ კავშირის თანხის შარშანდელი მფლობელი ამჟამად აშკარად არაა. ფორმაში. მოსკოვის „ტორპედოსთან“ წაგებული მატჩის შემდეგ კოლექტივში მოხდა კონფლიქტი, რომლის შედეგადაც გუნდის კაპიტანმა ნეტომ თავისი უფლებამოსილება ფაღინს გადააბარა. მაგრამ ქუთაისელებთან შეხვედრაში ფაღინი დასაწყისში არ თამაშობდა, ამიტომ აქ გამოჩნდა კიდევ ერთი ახალი კაპიტანი — კრუტკოვი.

საქართველოს პირველობა

საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში მედგა მორიგი ტურების მატჩები. მოგვყავს მათი ტექნიკური შედეგები:

„დილა“ (გორი) — „შუქურა“ (ქობულეთი) — 4:1, „მესხეთი“ (ახალციხე) — „განთილი“ (ბათუმი) 1:0, „სინათლე“ (თბილისი) — „მეშახტე“ (ტყვარჩელი) 3:1, „მეშახტი“ (ტყვარჩელი) — „ციცაბერი“ (ცხაპია) 3:0, „დინამო“ (ქუთაისი) — „განთილი“ (ბორჯომი) 2:2, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — ფიქსულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:1, „ენგურპისი“ (ზუგდიდი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედილი) 5:0, „მალაზოელო“ (ქიათურა) — „შუქურა“ (ქობულეთი) 1:0, „მეშახტი“ (ტყვარჩელი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 3:0, ფიქსულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო“ (ქუთაისი) 5:0, „ლოკომოტივი“ (სამტრედილი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 3:1, „განთილი“ (ბათუმი) — „მერცხალი“ (მხარატი) 0:1.

რეისაზღვიის თანხა

გრძელდება საქართველოს თანხის გათავაზება ფეხბურთში. ძალზე დაძაბული ბრძოლი აღინიშნა რუსეთის „მეტალურგისა“ და მხარბაძის „მერცხალის“ შეხვედრა. მხარბაძელებმა შეძლეს მეტოქის დამარცხება მისსავე მინდორზე — 3:2.

ქუთაისის ანგარიში — 2:1 — იქნა ფიქსირებული ორ შეხვედრაში. ქიათურელი ფეხბურთელები დამარცხდნენ ცხაპიას „ციცაბერთან“, ხოლო სამტრედილები — ქობულეთის „შუქურასთან“ მატჩში.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: ფიქსულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 0:1, გორის ჩაის საბჭოთა მეურნეობის გუნდი — „მეშახტი“ (ტყვარჩელი) 0:2, კიბორცის სახელობის ჩარხსაშენი ქარხანა (თბილისი) — „დილა“ (გორი) 3:4, „მექანიზატორი“ (ფოთი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:3.

ბორჯომის „განთილი“ არ ჩაევიდა სათანადოდ ზუგდიდში, რისთვისაც მას დამარცხება ჩაეთვალა.

გათავაზების ცხრილი

Table with 5 columns: Team, Goals, Assists, Points, and other statistics. Includes teams like „ტორპედო“, „დინამო“, „სპარტაკი“, etc.

ქვეყნის

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „სპარტაკი“ (ნაღრიკი) 1:1

გურჯაანი, 17 აგვისტო (ტელეფონით ჩვენი კორ.). აქ გამართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვედნენ ადგილობრივი „ალაზანი“ და ნაღრიკის „სპარტაკი“.

მატჩი უარესად დაძაბული ბრძოლით აღინიშნა და დამთავრდა ფრედ — 1:1.

„მეტალურგი“ (რუსთავი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 0:0

რუსთავი, 17 აგვისტო (ტელეფონით ჩვენი კორ.). პირველი წრის შეხვედრა რუსთავის „მეტალურგისა“ და სტავროპოლის „დინამოს“

შორის გამარჯვება მოუტანა დინამოელებს (2:0). ბუნებრივია, „მეტალურგი“ განწყობილი იყო სარევენოდ.

მაგრამ რევაზში არ შედგა: ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო კარის აღება და თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

გასვლითი მატჩები ჰქონდათ ჩვენი რესპუბლიკის დანარჩენ გუნდებს. ბათუმის დინამოელები იაშინთან შეხვედრაში კარგადადამარცხდნენ, სიმაშვილი, მტკიცე იყო ადგილობრივი „ლორი“.

ძალიან საინტერესო შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ლენინაკანში ერთმანეთს შეხვედნენ „შირაკი“ (ლენინაკანი) — „კოლხიდა“ (ფოთი).

დამატებითი ბრძოლა გამარჯვება მოუტანა „კოლხიდას“ — 1:0.

კაფანის „ლენინაკორცმა“ გუშინ საკუთარ მინდორზე მიიღო სოხუმის „დინამო“.

მასპინძლებმა კარგად ითამაშეს და გათავაზების ცხრილში 2 ქულა ჩაიჭერეს — 3:1.

გუნდები თამაშობდნენ ასეთი შედეგებით: „სპარტაკი“ — „ლოსიციანი, დიკარევი, ვარლამოვი, კრუტკოვი, კორნევი, ნეტო, ამბარცუმიანი, რეიგოლი, ლოგოფეტი, სევიდოვი (ფაღინი), ჰუსაინოვი; „ტორპედო“ — კვასცაძე, ლოსაბერიძე, წიფიძე, ვაძე, ოლიკაძე, კურტაძე, სიმაშვილი, ხაქალია, ჩხარტიშვილი, ისინი (სარგველიაძე); ნიშნინიძე, ხერხაძე, მსაჯინა. ბალაიანი (გიგვი).

ამ გუნდების დუბლიორთა მატჩში გამარჯვებს სპარტაკელებმა — 1:0.

შედეგ ტურში

თბილისის „დინამო“ 19 აპრილს ლენინგრადში ხვდება „ზენიტს“;

მშთაისის „ტორპედო“ 21 აპრილს მინსკში — „დინამოს“;

ქვეყნის

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „სპარტაკი“ (ნაღრიკი) 1:1

გურჯაანი, 17 აგვისტო (ტელეფონით ჩვენი კორ.). აქ გამართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვედნენ ადგილობრივი „ალაზანი“ და ნაღრიკის „სპარტაკი“.

მატჩი უარესად დაძაბული ბრძოლით აღინიშნა და დამთავრდა ფრედ — 1:1.

„მეტალურგი“ (რუსთავი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 0:0

რუსთავი, 17 აგვისტო (ტელეფონით ჩვენი კორ.). პირველი წრის შეხვედრა რუსთავის „მეტალურგისა“ და სტავროპოლის „დინამოს“

შორის გამარჯვება მოუტანა დინამოელებს (2:0). ბუნებრივია, „მეტალურგი“ განწყობილი იყო სარევენოდ.

მაგრამ რევაზში არ შედგა: ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო კარის აღება და თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

გასვლითი მატჩები ჰქონდათ ჩვენი რესპუბლიკის დანარჩენ გუნდებს. ბათუმის დინამოელები იაშინთან შეხვედრაში კარგადადამარცხდნენ, სიმაშვილი, მტკიცე იყო ადგილობრივი „ლორი“.